სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/07

ქ. თბილისი 5 თებერვალი 2024

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (პრეზიდენტი) კანდიდატურის შერჩევის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2024 წლის 5 თებერვლის №01-06-02/01 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. სტუ-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (პრეზიდენტი) კანდიდატად, ღია კენჭისყრის საფუძველზე, ერთხმად არჩეულ იქნეს პროფესორი ლავრენტი გუდავაძე;
2. კანდიდატურა წარედგინოს სტუ-ის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**